პროექტი

დანართი N1

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეო მონიტორინგის განხორციელების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში- მერია), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ვიდეომონიტორინგის (შემდგომში - ვიდეომონიტორინგი) განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა და ვიდეო მონიტორინგის ხანგრძლივობის, ვიდეო ჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვის, განადგურების წესისა და პირობების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრის გამჭირვალე პროცედურების დადგენა.
2. ეს წესები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ადგენს ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცედურულ ნორმებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაცვის სამსახური/დაცვის მომსახურების გამწევი პირი - კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შესყიდული დაცვის მომსახურების გამწევი პირი.

ბ) დაცვის სამსახურის უფროსი - ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მიერ განსაზღვრული პირი.

2. ამ წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი II
ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცედურა

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის ფორმა

1. ამ თავით განსაზღვრული პროცედურა ვრცელდება მხოლოდ ვიდეომონიტორინგზე (აუდიმონიტორინგის ელემენტების გარეშე).
2. მერია ახორციელებს ვიდეომონიტორინგს შემდეგი ფორმებით:

ა) მერიის ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე პერიმეტრის კონტოლს ვიდეომონიტორინგის საშუალებით, მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით;

ბ) ქ. წალკის ცენტრალური პარკის ტერიტორიის კონტროლს ვიდეომონიტორინგის მეშვეობით.

გ) ა(ა)იპ სასპორტო სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს ვიდეომონიტორინგის მეშვეობით.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. მერიის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხების, საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის დაცვის(მათ შორის მავნე ზეგავლენისგან დაცვის) დანაშაულის თავიდან აცილებისა და პრევენციის, ასევე სხვა საჯარო და ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულების მიზნით.
2. მერიის მიერ ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.
3. თუ მერიის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში ადგილი ექნება იმ მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზანთან, მერია არ ახდენს ამგვარი მონაცემის დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

მუხლი 5. ტექნიკური მახასიათებლები

1. მერიის შენობის შიდა პერიმეტრზე (შენობის შესასვლელსა და დერეფნებში) განთავსებულია ვიდეოკამერები, ვიდეოკამერები არ არის განთავსებული

თანამშრომელთა ოთახებსა და სველ წერტილებთან, ასევე კამერები განთავსებულია იმგვარად რომ არ ჩანდეს დასაქმებულთა სამუშაო ოთახების შიდა სივრცე.

2. მერიის შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერებით ხორციელდა მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოს ტერიტორის ვიდეომონიტორინგი და განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ.
3. შენობაში თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ „მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი“
4. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით ჩაწერა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში.
5. მერიის შენობაში მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი არის დაცვის სამსახური, რომელიც ახორციელებს შენობის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.
6. ქ. წალკის ცენტრალურ პარკში განთავსებულია ვიდეოკამერები, რომელთა მეშვეობითაც ჩაწერა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, პარკში თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი. ვიდეოკამერების რაოდენობისა და რეჟიმის ცვლილებას ახდენს მერიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი .
7. ა(ა)იპ სასპორტო სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე (შენობის შესასვლელსა და დერეფნებში) განთავსებულია ვიდეოკამერები. ვიდეოკამერები განთავსებულია იმგვარად რომ არ ჩანდეს დასაქმებულთა სამუშაო ოთახების, სველი წერტილებისა და გასახდელი ოთახების შიდა სივრცე.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები, ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა პირობები და განადგურების წესი

1. მერიის შენობის შიდა/გარე პერიმეტრზე, ქ. წალკის ცენტრალურ პარკში და ა(ა)იპ სასპორტო სკოლაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებზე წვდომა ხორციელდება, როგორც რეალურ დროში, ასევე შესაძლებელია ვიდეოკამერების ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა მოწყობილობაზე.
2. მერიის შენობის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერები დაკავშირებულია შიდა კომპიუტერთან და დაცვის სამსახურის მოწყობილობასთან, კერძოდ;

ა) დაცვის სამსახურის ოთახში განთავსებულია მოწყობილობა, რომელზეც წვდომა აქვს დაცვის სამსახურის უფლებამოსილ პირს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის დაშვებით. ოთახი დაცულია 24 საათის განმავლობაში და შესვლა შესაძლებელია მხოლოდ დაცვის სამსახურის უფლებამოსილი პირის ნებართვითა და ზედამხედველობით.

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირი ახდენს თანამშრომელთა სამსახურეობრივი კომპიუტერის IP მისამართის დაშვებას იმ

სერვერებთან, რომელიც დაკავშირებულია ვიდეოკამერებთან (სისტემაში შესასვლელად ენიჭებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი)

3. ქ. წალკის ცენტრალურ პარკში განთავსებული ვიდეოკამერების მონაცემები ინახება სერვერების ოთახში. ოთახი არის ჩაკეტილი და ოთახში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტს, მერს ან მის მიერ განსაზღვრული პირის ნებართვის სხვა პირს.

3[1]. ა(ა)იპ სასპორო სკოლაში განთავსებული ვიდეო კამერების მონაცემებზე წვდომა აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტს.

4. მერიის ადმინისტარციული შენობის შიდა/გარე პერიმეტრზე ქ. წალკის ცენტრალურ პარკში ა(ა)იპ სასპორტო სკოლაში განთავსებული კამერების ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა ფაილზე ჩაწერა შესაძლებელია მერის ან მის მიერ განსაზღვრული პირის ნებართვით.
5. მერიის შენობის შიდა/გარე პერიმეტრზე, ქ. წალკის ცენტრალურ პარკში და ა(ა)იპ სასპორტო სკოლაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებზე უკანონო წვდომის ფაქტის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი ახდენს იმ მომხმარებლის იდენტიფიცირებასა და შენახვას, რომელსაც ელექტრონულად ჰქონდა წვდომა ვიდეოკამერების ჩანაწერებთან (შესვლის დრო და მომხმარებლის სახელი) აღნიშნული მონაცემი ინახება 3 თვის ვადით, თუ სახეზე არ არის მონაცემთა შენახვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.
6. მერიის ადმინისტრაციული შენობის შიდა/გარე, ქ. წალკის ცენტრალურ პარკსა და ა(ა)იპ სასპორტო სკოლაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებზე არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი ატყობინებს მერს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.
7. მერიის ადმინისტრაციული შენობის შიდა/გარე პერიმეტრზე, ქ. წალკის ცენტრალურ პარკში და ა(ა)იპ სასპორტო სკოლაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა არის არაუმეტეს 15 დღე, ვიდეოკამერის მოცულობის ამოწურვის შემდეგ , ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით- რაც იწვევს ძველი ჩანაწერების ავტომატურ წაშლას. თუ ჩანაწერი ამოღებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის დროს მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებული იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც განხორციელდა მისი ამოღება.

თავი III
მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

მუხლი 7. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. წალკის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.
2. ვიდეომონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მიმართოს მერს ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.
3. ვიდეომონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.